



საბჭოთა

3

თებერვალი

1990

„თავისუფალ ერთა
შედეგად კავშირი მზერი
შეუქრავს მუდმივად
დირ რუსეთის ხალხს!“



ნახ. ჯ. ლოლუასი



ლორეანთა
საქართველოს მწიგნობართა
კავშირი



ყველა მხარე საუკეთესო — კაბიტა-
ლისტების ბავშვებს!
რაც უფრო კარგად ვიმუშავებთ ჩვენ.
მით უფრო კარგად იცხოვრებენ ისინი!
3050 მუშაობს, ის ქაშხ... საკუთარ
გულსა და ნერვებს!
3050 არ მუშაობს, ის არ ქაშხ... მაღა-
ზის ხილბოსტნეულს, გაყინულ ხორცსა და
გალურჯებულ წიწილას..
პროლეტარმათ უკელა ქვეყნისა, შე-
ვეშვიო!
ქლიპარი ცენტრი, მშვიტი რესპუბ-
ლიკები!

6. 0.

გაგონილ-მოგონილი

სოციალისტურ ვალდებულებათა
განხილვისადმი მიძღვნილი კრება დირექ-
ტორმა ასე შეაჯამა: — ჩვენი კოლექტივი
უოველ ღონეს იხმარს იმისათვის, რომ ხა-
ჯარობა და დემოკრატიზაცია ვადავრე ადრე
დამთავროს!..

კრების თავმჯდომარე კახელი იყო
და ერთ-ერთ წინადადებას კენჭი ასე უყარა:
— ვინა ხართ მომხრე?.. ვინა ხართ წინა-
აღმდეგი?.. ფეხებზე ვინა გკიდიათ?..

კასპელებს არ სენა მარაბდელი და-
ხიზმრებათ: — ჩემი შვილანი თუმანი მანდ
ერთი დიდი კლდის ქვეშ ძევს, ამოიღეთ და
ცემენდის ქარხანას მოახმარეთ, ამდენი წე-
ლიწადი რომ ასე ხრჩოლავს, ეგებ რამე
უშველოთ!..

გაგონ-მოგონა
თამაზ მბანონიძე

სპეცილისტები


გენო: სპეციალისტების ეს
ჭგუფი, გაიზოვიჩ, იმ თვეში მი-
ლის მივლინებით. დაუსტებულ
სიას სასწრაფოდ თხოულობენ.
გაიოზოვიჩი: რამდენი კა-
ცია?
გენო: ათი.
გაიოზოვიჩი: სად მიდი-
ან?
გენო: ავსტრიაში, გაიოზო-
ვიჩ.
გაიოზოვიჩი: თუ ავსტრა-
ლიაში, ბიჟო? ეგენი სულ მერე-
ვა, ხო იცი!.. მაგ ოჯახქორებმა
სახელი ვედარ მოუძებნეს? შეე-
ცია-შეეცარიისა არ იყოს!
გენო (იციინის): ნიგერი და
ნიგერია, გაიოზოვიჩ?
გაიოზოვიჩი: ანდა, ის, რა
ჰქვია?.. ე, ბიჟო, ნავიანებს თუ
რალაცას რომ უძახიან!..
გენო: გვიანა.
გაიოზოვიჩი: ჰო, გვიანა
და გვიანა. ეკითხათ იმ მამაცხო-
ნებულებს და იმდენ სახელს შე-
ვურჩევდი, რომ...
გენო: კეშმარიტბას ბრძა-
ნებთ, გაიოზოვიჩ!
გაიოზოვიჩი: რისი სპეცი-
ალისტები არიან მაგენი?
**გენო (დამარცვლით კი-
თხულობს):** ასე წერია — ან-
ტინაწილაკების და ნახევარგამბა-
რების — 4 კაცი, გარემოს დაც-
ვის — 4 კაცი, ერთი ხელმძღვა-
ნელი გახლავთ, ერთიც — შოაღ-
გილე.
გაიოზოვიჩი: წაიკითხე სია!
გენო: აგურიძე...
გაიოზოვიჩი: ვიცი, ხე-
ლოვნებათმცოდნეა. აქვს რაიმე

საერთო ხელოვნებას ნახევარგამ-
ტარებთან?
გენო: არავითარი!
გაიოზოვიჩი: მაგაზე ბელ-
ტიაშვილმა დამირეკა.
გენო: საერთო რომ არ ჰქო-
ნდეს, ამხელა კაცი ხომ არ და-
რეკავდა?
გაიოზოვიჩი: შემდეგ?
გენო: დულაბაური, კიტრი-
აშვილი, ნეკერიძე, ხაპიძე, ქვა-
ბრელიძე, ბერბიჭაშვილი, კოხკი-
აური, ფუტყარაშვილი. ყველანი
სპეციალისტები გახლავთ!
გაიოზოვიჩი: რა ქენი,
იცი? დულაბაურის მაგივრად მე-
ზარაშვილი ჩაწერე!
გენო: დულაბაური ანტინაწი-
ლაკებია, გაიოზოვიჩ, ყველაზე
მაგარია.
გაიოზოვიჩი: მერე? ნავ-
ზარაშვილი არ იცი ვინაა?!
გენო: თქვენი სიღვდრი გავ-
ლავთ.
გაიოზოვიჩი: უფრო მაგა-
რი კაციშვილი არ მეგულება, რომ
იცოდე! რაც ანტინაწილაკებია,
სულ მაგაშა თავმოყრილი.
გენო (იციინის): როგორც
ბრძანებთ, გაიოზოვიჩ!.. დულაბა-
ური წაშალოთ, ნავზარაშვილი
ჩაწეროთ!
გაიოზოვიჩი: ქვაბრელიძის
ნაცვლად კაკანაძე ჩაწერე!
გენო: კაკანაძე?! აჰ, თქვენი
ცოლისძმა?.. ქვაბრელიძე გარე-
მოს გაბინძურების საკითხზე მუ-
შაობს.
გაიოზოვიჩი: ჩემს ცო-
ლისძმაზე მაგარი სპეციალისტი
მაგ დარგში ნაღდად არ მეგულებ-

ბა! ბიჟო, სტადიონზე ერთ ტიმი-
ში თუმნის მუხსუმზირას ქაშხ.
**გენო (იციინის, ხითხი-
თებს):** ქვაბრელიძე ამოვიღოთ,
კაკანაძე ჩავსვათ!
გაიოზოვიჩი: ერთი ნახე-
ვარგამტარებზე აწყობილი სიძე
მყავს და ხაპიძის მაგივრად ის
ჩაწერე! მართალია, ხაპიძე შარშან
ავგუსტოში პალერმოს სიმპოზიუმ-
ზე ვერ მივავლინეთ ჩემი მამიდა-
შვილის ცოლის გამო, მაგრამ სა-
მაგივროდ ბულგარეთში, ოქროს
ნაპირზე, გავუშვით დეკემბერში!..
ჩემი სიძის გვარი ხომ გახსოვს?
გენო: იბა, არა?!
გაიოზოვიჩი: ახლა, შე
ვფიქრობ, იმის თქმა აღარ დაგ-
ჭირდება, სია როგორ უნდა და-
აზუსტო! სიღვდრს ვინ უნდა მიუ-
წერო ქვემოთ?
გენო (ყოჩაღად): სიმამ-
რი, გაიოზოვიჩ!

გაიოზოვიჩი: ყოჩაღ! ცო-
ლისძმას?
გენო: მისივე ცოლი!
გაიოზოვიჩი: ბარაქლა
შენს გამჭირახობას! ახლა ისიც
გაითვალისწინე, ჩემო გენო, რომ
მაგენი შვილებზე გიყვებიან და
ერთი დღითაც ვერ ტოვებენ!..
გენო: სწორედ ორი ადგილი
დარჩა სპეციალისტებისათვის!..
გაიოზოვიჩი: რას გეტყვი,
იცი? ამომივიდა ყელში ეგ შენი
სპეციალისტები!.. მაგ სიას რომ
დააზუსტებ, ადგილი და განაცხადი
გააკეთე ბაკურიანის ტურბაზაზე
იმ სპეციალისტებისათვის, მივლი-
ნებაში რომ ვერ გავუშვით! ჭგუ-
ფი რომ ავსტრიაში წავა, ეგენი
მთაში გავუშვათ, დაისვენონ!..
მოიცა, ავსტრიაში მიდიან, თუ
ავსტრალიაში, ბიჟო?..

ლერი ჩანტლაძე



ოცნება და სინაპური

იუმორისა

ამას წინათ რედაქტორმა დავალება მომცა: ხალაგნის ქუჩაზე, 44 ნომერში, კამიკაძის ორი მილიონი ფული აღმოუჩინეს, შეისწავლე ეგ საქმე და საგაზეთო მასალა მოამზადე!

— ორი მილიონი?! — ჩავილაპარაკე ჩემთვის და ისეთი მშვიდი გამომეტყველება მივიღე, თითქოს ორი მილიონი ჩემთვის ორი კაპიკი უოფილიუოს. ეს პირველ ხანებში, მაგრამ შევისწავლე თუ არა მამხილებელი მასალები, „მილიონების სამყარო“ უმალ ჩამითრია და მოსვენებაც დამაქარგვინა!

მიუტჩქვი მაგიდას, დავიწყვე იმ მასალის ასლები, რაც გამაცნეს კამიკაძის საქმესთან დაკავშირებით და შეეუღლევი ფელეტონის წერას. მართლაცდა, ისეთი მასალები იყო, თითებს ჩაიკვნეტდი შიგერთი პაწია აბზაცი რა არის, ისიც არ იყო ისე შედგენილი, შიგის ორი მილიონი რომ არ უოფილიუო ნახსენები. ვუარე იმ თანხას ხან აქეთ, ხან იქით, ამოკრიბე მასალებიდან, რაც კი ფელეტონისთვის დამჭირდა. მშრალი ციფრები სხარტ-სხარტი გამონათქვამებით შევფერე; დავამთავრე ფელეტონი, ჩავაბარე სამდივნოს და გავედი სუფთა პაერზე, რა არ მოვიმოქმედე: დავითვალე ასამდე, ორასამდე, მაგრამ ის ორი მილიონი მაინც ვერ ამოვიგდე თავიდან! არადა, ერთსა და იმავეზე ფიქრმა თავი დამიძიმა, საფეთქლებიც ამატკივა. ერთი პირობა ფიქრმაც გამიარა, არ გამაგიუოს ამ ოხერ ორ მილიონზე ფიქრმა-მეთქი.

ვერა და ვერ დავწყნარდი. დავურეკე მეგობარს, იმან მკითხა, რა გინდაო. რა უნდა მინდოდეს-მეთქი, ვუთხარი თუ არა, — ახლავე გამოვალო! სახლიდან გამოსული არ მეგონა, უკვე დაერქო იქ, ხაცა დავიბარე. ორი-სამი წუთიც და... მაგიდას ვუსხედით. არც ორმოც-გარადუსიანმა მიშველა და აღარც 40-მანეთიანმა კონიაკმა. არადა, არ მომცილდა ფიქრი. მივედი სახლში, ჩავწეკი ლოგინში. ჩავთვლიე


თითქოს, მაგრამ ძილი მაინც არ მომეკარა. გავვულისდი უცბად და გადავუარე იმ ორ მილიონს!.. ისეთ, როგორ? ჭერ ნაწილი ავიღე, დავურიგე ნათესავ-მოკეთებს. ცხადია, ჩემთვისაც დავიტოვებდი ცოტას; ვთქვათ, მილიონ ათას მანეთს, აბა რას ვიზამდი?! ასეც მოვიქეცი! ჩავილაგე ჭიბებში, სულ, გამოვიტენე!.. ხან ტალინში ვარ, ხან რიგაში, ხან კიდეც სამარყანდში!.. გაშლილი მაქვს მკლავები, ვხარჯავ, რამდენიც მინდა!.. ცოტას ღარიბებსაც ვურიგებ!..

იგივე მეორდება მეორე დღესაც, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მოგზაურობის გეოგრაფია ოდნავ გავიფართოვე, ჩემი ნება არ იყო?! წავედი კარლოვი ვარში, მერე — ვენეციაში, მერე ინდოეთსაც ვეწვიე და... 1 მილიონს ქვევით რომ ჩამოვცურდი, არ დავილუპო-მეთქი და აქვე, ახლომანლო მგზავრობა ვარჩიე: ვლადივოსტოკი, მურმანსკი, როსტოვ-სუზდალი და, ბოლოს, აგერ, ა, სოკი — ჩვენებური, ოღონდ ისტორიულად!..

მესამე დამესაც ვიშლივინე მილიონებში, წირვა გამოვუყვანე იმ ერთ მილიონზე ცოტა ნაკლებსაც. კიდეც კარგი, მეოთხე დილით ბულალტერიაში დამიძახეს, თორემ „საბაზმელიო“ ფულიც არ შემრჩებოდა!..

დამიბარეს ბულალტერიაში და ჩემი ფელეტონისთვის კუთვნილი პონორარი ჩამითვალეს — 11 მანეთი და 74 კაპიკი!

ანწორ გვარამია
(ქ. ს. ს. უ. შ. ი.)



საქართველო

საბავშვო ჟურნალი

იხსენებ

იხსენებ ამ ბავშვს ვინაობა, არ დაიჯერებთ! არცაა დასაჯერებელი, მაგრამ მე მიიხსენებ ვინაობა და თქვენი საქმისა თქვენი იცით!

წყნარად ვიყავი ამ რამდენიმე დღის უკან. მანქანა, რა თქმა უნდა, დავექეთ და ჩემ საქმეზე წავიდე. ასე, ერთი საათის შემდეგ ვბრუნდები და რას ვხედავ: მანქანაში ვიღაც უცნობი მოკალათებულა! ქურდი რომ არ იყო, მივხვდი, უკანა სკამზე იჯდა. გავაღე მძღოლის კარი და საქვს მივუჭექე. თანაც გავიფიქრე: საცემი კია ეს ოხერი, მაგრამ თუკი ბოდიში მომიხდა, ხმასაც არ გავცემ-მეთქი.

— გამარჯობა! — მომესალმა თითონ.

— გაგიმარჯოთ! — მივუბრუნდი მე, — გადაბრძანდით მანქანიდან!

იმან ჩაიცინა და მივხვდი, რომ ჩვენებური არ იყო. იმის თქმა კი არ მინდა, ქართველი არ იყო-მეთქი; არა, საერთოდ დედაძმის მცხოვრებს არ ჰგავდა.

— თქვენ? — ეს მე ვკითხე.

— დიახ, მე სხვა პლანეტიდან გახლავართ, — ნამდვილად არ ტყულობა, — საქმე მაქვს შენთან! ხმას არ ვიღებდი. ანდა, რა უნდა მეთქვა?! ვიჭექე გაუნძრევლად და ველოდი, რას მტყუობა. — მე გამოგზავნილი ვარ სპე-

ცილური დავალებით და შენი დახმარება მჭირდება! — თვალეზში მიყურებდა დაუპატიებელი სტუმარი, — საქართველოში ყველაზე პოპულარული სამი ადამიანი უნდა წავიყვანო რამდენიმე დღით ჩვენს პლანეტაზე!

რა თქმა უნდა, ვერ მივხვდი ჩემი დახმარების აუცილებლობას, მაგრამ ხმას არ ვიღებდი.

— არაა აუცილებელი, სამივე ქართველი იყოს. მთავარია, საქართველოში სარგებლობდნენ პოპულარობით, — განაგრძობდა ის, — ეს ადამიანები უკვე შევარჩიე და ერთერთთან კონტაქტის დასამყარებლად შენ მჭირდება. ნუ მტყუი უარს! — და ხელი მხარზე დამადო.

— თითქოს მივხვდი, ვის შესახებაც მესაუბრებოდა და ჩემი ვარაუდი გამართლდა კიდევ.

— დათო ტურაშვილი უნდა გამაცნო! — სახე ახლოს მოიტანა ჩემმა მოსაუბრემ.

— ასეც ვიცოდი! — გამეცინა მე, — დანარჩენი ორი ვინდა?

— მიქელე პლაჩიდო და საბრინა.

— საბრინა? — ჩავეკითხე მე, — გემოვნება კი გქონიათ.

— არა, ისე ნუ გაიგებ, ჩვენ მხოლოდ პოპულარობის გამო მიგვყავს, — უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა უცხოპლანეტელი.

— მაინცდამაინც საქართველოში პოპულარული ხალხი რატომ აირჩიეთ? — დავინტერესდი მე.

— ჩვენი კვლევითი ინსტიტუტის შეფის ბებია ქართველი იყო და...

— გასაგებია, — შევაწყვეტინე თანამოსაუბრეს, — პლაჩიდო და საბრინა თუ დაიყოლიეთ?

— მაგათ არც ვკითხავთ, ისე წავიყვანთ! არ გვინდა, დათოსაც ასე მოვექცეთ, ქართველი კაცია, რაც უნდა იყოს!

— შე კი კაცო, მე რომ მთხოვ დახმარებას, წასულიყავი ჯერ იტალიაში, ჩაგესვა იმ შენს მფრინავ თევზში საბრინა და, ტურაშვილი კი არა, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებიც არ გეტყობდნენ უარს წამოყოლაზე! — გაცხარდი მე.

ხმას არ იღებდა.

— რა იყო?! არ ვამბობ მართალს?!

— კი, მართალს ამბობ და ასეც ვაპირებდი, მაგრამ, როგორ გითხრა, არ ვიცი, — თავი ჩახარა იმან, — ბენზინი მომპარეს!..

— მფრინავი თევზიდან? — გავოცდი მე.

— ჰო!

— სად, კაცო?!

— აქ, წყნეთში! — მიპასუხა შეწყუხებულმა.

არ ვიცოდი, რა მეთქვა. ისიც უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდა და თვითონვე მონახა გამოსავალი:

— არა უშვს, ჩემს პლანეტაზე უკვე იციან ამის შესახებ და ამ დღეებში გამოგზავნიან საქირო

რაოდენობის ბენზინს. შენ ის მითხარი, გამაცნობ თუ არა და-თოს?

— ლუდი თუ გაქვთ იმ თქვენს პლანეტაზე? ლუდი უყვარს მაგას!

— ეგ ვიცი და სათანადოდ მოვემზადე! — ჯიბიდან ბავარიული ლუდის ქილა ამოაძვრინა უცხოპლანეტელმა.

ამის დანახვაზე თავი ვეღარ შევიკავე და ნაწყენი ტონით ვუთხარი:


— სხვათა შორის, ლუდი მეც მიყვარს და ახელა საქმის გაკეთებას თუ მთხოვ, ერთი-ორი ქილა შემოგეთავაზებინა ბარემ!

— კი მაგრამ, თითოში თორმეტი მანეთი მაქვს მიცემული!

— როგორ?! თქვენც ზედმეტ ფასებში ყიდულობთ?! — გამიკვირდა მე და ისე შემეცოდა უცხოპლანეტელების ის ნაწილი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაზე არიან გამოგზავნილები, რომ ჩემს თანამოსაუბრეს თვითონ აღუთქვი დახმარება.

იმედია, არც დათო ტურაშვილი იტყვის უარს რამდენიმე დღიან მოგზაურობაზე მფრინავი თევზით, თანაც ბავარიული ლუდისა და საბრინას თანხლებით.

ილუსტრაციები
ჯიშალ ლოლუასი



საბარდაქმნო
შაირები



მოუცლია ხაწყალი, ობოლი ბინის საპატრონოდ! შოვა მხოლოდ ხანდახან, გზად შემოვივლი, „აჰ“-ს შესახველეთან დააყენებს და შევა შიგ. ამ ბინას იგი არაფრად აგდებს. იყო შესაძლებლობა და აიღო ჩაწყობა-ჩაკვარაბუნებით! იყოს, რას მიშლის, საკმელი არ უნდა და ხახმელი, თივა და ჩალო! — თქვა და ობოლი ბინის გახალისებაც ჩამოჰკიდა ისედაც დიდ გახალისება კონას, რომელსაც ხელში ათამაშებს ჩვეულები-სამებრ. შვილები მაინც ჰყავდეს მის პატრონს ან შვილიშვილები! ერთადერთი დოყლაპია ბიჭი ჰყავს, ორმოც წელს მიღწეული, უცოლო, თავმოტველიანი, სახე ნაოჭებით დაღარული.. ამ დროს, ვინ იცის, რამდენი ობოლი, ჭკრივი და უპატრონო უბინაოდ არის ისინიც ტირიან, როგორც ობოლი ბინა. აბა, ხატირლად არა აქვთ საქმე უბინაოდ დარჩენილებს?! ოჰ, როგორ გაიხარებდნენ, მათთვის მიეცათ ეს ობოლი ბინა! თქვენ იტყვი, მერედა კანონი სად არისო?! გეტყვით, ამასაც გეტყვით: სად არის და — ქალაღღე! ჰო, ქალაღღეა დაწერილი და მოქმედების ძალას ქალაღღის ფული, ვერცხლი, ოქრო და მისთანები უკარგავენს..

ობოლი მაინც ობოლია, რაგინდ კარგი დედინაცვალიც ჰყავდეს — ფერმკრთალი, ზურგგაუშართავი, გაუხედავი, მშინარა. ასე რომ, ობოლობა არც ისე სახარბიელოა! ობოლი ყოველთვის იწვევდა კეთილ ადამიანებში სიბრაღის გრძობას და უწვდიდნენ ასეთებს დახმარების ხელს. ხალხს ისიც უთქვამს: ობლის კვერი ცხვა, ცხვა და გვიან გამოცხვა, მაგრამ კარგად გამოცხვა.

ჰოდა, მე ახლა ობოლ ბინაზე მინდა გესაუბროთ. არ გაგიკვირდეთ, ობოლი ბინა ობოლ ბავშვზე უფრო საცოდავია. საცოდავად და დაჩაგრულად გამოიყურება იგი სხვა ბინებს შორის — უფარდო ფანჯრები, ჭუჭყიანი მინები, ფერმკრთალი კედლები; კორიდორები და მოაჯირები უხმაურა და დამუნჩებული, მხოლოდ მეზობელი ბინებიდან ესმის სიცილ-ხაჩხარი და მხიარულება. ტირის ხაწყალი ობოლი ბინა, მაგრამ ვინ ჰყავს გამგონე, რომ მიუაღიეროს, უთხრას ხანუგეშებელი? ბევრს კი უნდა ანუგეშოს ობოლი ბინა, მაგრამ რატომღაც ვერ გაუხედავთ, პირში წყალი დაუგუბებიათ და ვერ აღებენ, მხოლოდ აქა-იქ, კუთხეებში ჩუმჩუმად ლაპარაკობენ მის საცოდაობაზე, მის გასაჭირზე..

გგონიათ, ობოლ ბინას პატრონი არ ჰყავს? — ჰყავს, მაგრამ მაინც ობოლია! მის პატრონს ბევრი აქვს ბინა სოფელში. აგარაკზე, დაბაში. იქ და აქ. ამიტომ ვერ

ვიცი, ახლა იმასაც იტყვი, კანონის დამცველები სად არიანო?! გეტყვით, ბატონო: სად არიან და თბილ სკამებს იცავენ და ისინიც ხელებს ითბობენ! ამას უვლადფერს ერთად კი ჩაჭვრიტ რეაქცია ეწოდება, რომლის დასაშლელად, სამწუხაროდ, არავითარი ნივთიერება — კატალიზატორი ჭერჭერობით არ არის გამოგონებული!

ნეტავ სად არის ობოლი ბინა? — შეიძლება ვინმემ იკითხოს! პასუხი: თქვენს ქალაქში, თქვენს უბანში! მისი დანახვა უვლას შეუძლია, ვინც ნახევრად ბრმა არ არის ან ნახევრად ყრუ, ან კიდევ ნახევრად მუნჯი იგი უვლას შეუძლია ნახოს, უვლას, ვინაც გარდაქმნის სიომ ოდნავ მაინც შეურხია ხინდისი!

მიდით, ნახეთ ობოლი ბინა, ანუგეშეთ, უშვილეთი..

ოთარ ნაჭყავია
(ქ. ს. ო. ხ. უ. შ. ი.)

მოდი, ბიჭო ვიშაიროთ, ჩამოგეჭი ქვაზედაო, თითომ თითო შაირი ვთქვათ „პერესტროიკაზედაო“!

წერამ ხომ არ ავტანა, შაირს ამბობ რაზედაო, პლურალიზმმა დაგაყენა მაგისთანა ჭკვაზედაო?!

ნეტა რისი გეშინია, ვერა ზედაც, რა ხდება?! ცოტაცა და პლურალიზმი რეალობა გახდება!

დებუტატად აირჩიეს ჩვენი ფერმის მწველავი, დებუტატი უტყვად დარჩა, ძროხა — მოუწველავი!

გენერალი რქით მოგვაწვა, როგორც ხარი წიქარა, გენერალმაც მიქარა და ტაშის მკერელმაც მიქარა!

ტაში, ბიჭო, ტაში, ტაში, შენც დაუქარ ტაშიო, ცვლილებები შეიტანეს კონსტიტუციაშიაო!

სახრავი ძვლით გვაჩუმებენ, როგორც ძალსა მურაისო, მუხლებს ცვლიან, შინაარსი ისე ძველებურიო!


შენ ისეთი ურწმუნო ხარ, აღარ გჯერა პარტიის, აღარც საჯაროობის და აღარც დემოკრატიის!

რა ვქნა, რწმენა დამეკარგა, მგონი, შევცდი ჰკვიდანა, იმიტომ, რომ მატყუებენ ცხრაასჩვიდმეტედანა!

იქნებ ისიც არა გჯერა, რომ ვართ სუვერენული? — რა ხანია გვიდასტურებს ყრილობა და პლენუმი!

პართალი ხარ, დოკუმენტით გვაქვს მაგისი უფლება, დოკუმენტი თვითონ ჰქონდეთ, მოგვცენ თავისუფლება!

გგონი მეტი მოგვივია, ჩემო მისო, შაირი! მოვრჩეთ, თორემ მოგვეცება მუხლი ნაირ-ნაირი!



— ჩვენ ცისფერი გალაქტიკიდან ვართ, გალაქტიონის ერთტომეულს დავეძებთ!

მინეილო სანიკიძე

ჩვენი და ჩვენი

როგორ არა ვთქვა სიმართლე,
ვინ შემიკვეციოს ფრთები?
ბნელს რომ სჯობია სინათლე,
ველასთვის გასაგებია!

ცხოვრებას თავის წესი აქვს! —
ასე იწება განგებამ!
ჩემი რომ უკეთესია, —
მან მომცა ამის გაგება!

მივხედოთ საქმეს საერთოს,
უნდა მივხედოთ კიდევაც!
თუ ჩემს აჯობებს საერთო, —
ჩემს არვინ გაეკიდება!

ერთხელ

ერთხელ ძალღი მეზობლისა,
პატრონის თქმით, — სულიწმინდა, —
მის ჭიშკართან საუბრის დროს
მე ლოყაში ჩამაფრინდა!..



სასიკვდილოდ განწირული
ღმერთმა ცოცხლად დამარჩინა,
ექიმებმა ვერ მიშველეს,
ექიმბაშმა მომარჩინა!..

და ვუჩივლე ძაღლის პატრონს,
რომ მეპოვა სამართალი
უხამართლო მოსამართლემ
აქეთ დამდო, ძმებო, ბრალი!

ადვოკატმა მეზობლისამ
დაუმტკიცა ბოროტ სულეებს:
ძაღლმა მე კი არ მიკბინა,
მე უუკბინე იმ ძაღლს თურმე!..

ჩვენს ისტორიას!

ვინაც მართლის თქმა არა სურს,
იმის მზე ჩაესვენება,
თორემ საქებრად ჩვენს წარსულს
ეყოფა ცოტნეს ხსენება!

ვინა თქვა, ჩემო ძამო,
ვაუკაცოა დამბუნება?! —
ფოლადთან ფიცნაჰამია
ქართული კაცის ბუნება!
ღვთისგან დალოცვილ ერსა და
მის ისტორიას

მარადუამს,
შენაფიცარი ხედთანა,
გმირობა უდგას დარაჰად!
ხომ უკვდავია წარსული
და არასოდეს ჩაქრება,
მაგრამ გაუიღვა ასულის
მაინც ემჩნევა ლაქებად!..
ემჩნევა მისგან კრილობა,
ციხეს ვინც ტეხდა შიგნიდან,
სული და გვარიშვილობა
ვინაც ეშმაკებს მიჰყიდა!


ვეფხვი ბალიაში

ბორიალი ახწავლეს,
აქეთ-იქით აწუდება,
ამ ვეფხვს ვინაც აწვალეს,
უსათუოდ წაწუდება!
მეცოდება ძალიან, —
ეს უგულოს ბრალია, —
ცისარტყელას ფერები
ვერ ამშვენიებს გალიას!

ამის მქნელი გუნებოთ
უსათუოდ წაწუდება!
ხად ნახულა ბუნების
გალიაში დამწუვდება?!

თავის უფლება


რაც მართალია, დავწეროთ,
სიმუნჯე თევზსაც ეყოფა!
აბა, იფრინე, ვით წერომ,
გზა გაიხადე მეგობრად!



ანდა, ქვეყნებში იარე,
შექმენი შენი ამინდი,
ქარს ფიქრი გაუწიარე,
სადაც გზურს, იქით გაფრინდი!
კანონი ასე აკეთებს,
გაქრამდე ასქერ გაწომე,
თუ ბიჭი ხარ და გაბედე,
მისგვარად ნუ იაზროვნებ!
მე რაც მსურს, იგი ვაკეთო,
ვინ მომცემს ამის უფლებას?
არადა,
თუ ვერ ვაკეთე,
არა მაქვს თავისუფლება!

ამ გოგოს!

ხან წყნარია,
ჩანაც კი
არაგვივით ქუზდება,
შარვალი და ჩექმები
მართლაც როგორ უზღდება!
ღერწამტანას ტურები
უგავს ახალ იარაბს,
თვალები აქვს გახახედნ



ფაშატივით ბრიალა!
მზით ანთებულ სახეზე
სულ ღიმილი უდგება!
პაპიროსის მოწვევა?
ეს კი
არ ეკადრება!

ჩემო თბილისო!

მანქანებს ვერვინ ალაგმავს,
მიმოქრის ფერად-ფერადი,
ლამის გამგუდოს ქალაქმა
ციხფერი მახრჩობენლათი!..

შხამი როდემდე იქნება
ხიცოცხლის გადამკეთავი?!
დღეს რომ ამდენი იფრქვევა,
ხვალ რა იქნება, ნეტავი?!
თბილისო,
მძიმე ფიქრითა
ამ ლექვის თანაზიარო,
ვინც თვისი შრომით იუიდა,
მანქანით იმან იაროს!
დამბუნდები ამ დღეში,
თუ არ დაიწუე შეტევა!
ხომ ხედავ, ქუჩაბანდებში
ცხოვრება აღარ ეტევა!
სმოგს შუბლშეკრული დაჭურვებს
გაოცებული მთაწმინდა!..
მტკვარს ეშველება, მაგრამ შენს
შავ ჰაერს ვინდა გაწმინდავს?!
ილუსტრაციები ჯ. ლოლუასი

სიღნაღური ხუმრობები

ნახ. ზ. ნადირაძისა



გიორგი რაიკომის მდივანთან შევიდა სამუშაოს სათხოვნელად. მდივანმა ნუკრიანის კოლმეურნეობაში წასვლა შესთავაზა — რქ ხალხი ძალიან გვიჭირსო.

— იცი რა, — ეუბნება მდივანს გიორგი, — თქვენ მე იქ თოხზე მგზავნით, მე კი მაგის კაცი არა ვარ! პაპანაქება სიცხეში რომ კუბო იდგეს და ჩრდილში თოხი იყოს მიყუდებული, წავალ, ამ სიცხეში კუბოში ჩაეწევი და ჩრდილში თოხს კი ხელს არ მოვიკიდებო!

გიორგის რომ მამა გარდაეცვალა, ამხანაგმა მიუსამძიმრა: ვიზიარებ, გიორგი, ძალიან მეწყინაო! გიორგიმ უპასუხა: ორ ქედლაში ოთხასი თუმანი მე მივეცი და შენ რაში გეწყინაო?!

მამის დაკარგვის დღეს ფოსტალიონმა სამძიმრის დეპეშები მოიტანა. გიორგიმ გადაათვალიერა და აღმოჩნდა, რომ ერთი დეპეშა, რომელიც დაწესებულებისა, იყო შეტელომით მოტანილი: „ყოველი ღონისძიებით უზრუნველყავით მიმდინარე კვარტალის ბავშვების შესრულება“. — ეწერა დეპეშაში.

გიორგიმ დეპეშა დაკეცა, მიცვალბულს თავქვეშ ამოუღო და ჩაულაპარაკა:

— მამი, ეტყობა, გეგმის შესრულებაზე იქაც მაგარი მოთხოვნა და აბა, შენ იციო!

— ხიზილლა კარგი რამე ხომ არ გგონია, მაგან სკლეროზი იცის!

— ხუმრობით უთხრა გიორგის ერთმა ექიმმა.

— დამსახურებული ექიმი კი ხარ, მაგრამ მაგას ვერ დაგიჭერებ. ამ ერთი თვის წინ ქელეხში ხიზილლა ვკამე და თუ მაგან სკლეროზი იცის, მაშ, რატომ არ დამავიწყდა, რომ ვკამე, ან რატომ გემო არ დამავიწყდა? — უპასუხა გიორგიმ.

გიორგის მალ-მალე ათავისუფლებდნენ სამუშაოდან. ვერსად ფეხი ვერ მოიკიდა, ქრონიკული უმუშევარი იყო. მოკლე ხანში რამდენიმე სამუშაო გამოიცვალა: ხან პურის მალაზიაში იმუშავა, ხან — საკომისიოში, უკანასკნელად კი „სოიუზბეჩატი“ ჯინტურში რომ მუშაობდა, ვილაცამ ჰკითხა: გიორგი, სამუშაოს რა მალიმალ იცვლი?

— იცი, რატომ? — უპასუხა მან, — მინდა, რომ ჩემი ნეკროლოგი რაც შეიძლება გრძელი გამოვიდეს!

ერთ ხანს, მოსახლეობის საკავშირო აღწერის შემდგ, ძალიან გაზვიარდა ქართულად გვარების გადაკეთება და გვარის გამოცვლა. გიორგიმ რომ გაიგო, გვარის გამოცვლა 15 მანეთი ღირსო, თქვა:

— ამ ქართველებს პრესკურანტი არ უფარგათ! აბა, მაშ, სააკაძე და ლილივაშვილი — ორივე 15 მანეთი უნდა ღირდეს?

გიორგის ძმას, გიგოს, სიმთვრალეში ერთი ცული ზნე ჰქონდა — სახლში კი არ წავიდოდა, სიღნაღის ყველა ქუჩას მოივლიდა, სანამ არ გამოფხიზლდებოდა. გიორგიმ მთვრალი ძმა ერთ-ერთ ქუჩაზე მიმავალი დაინახა და გასძახა:

— ჯოო! მინთ უკვე იყავი, ეხლა აქეთ უნდა წახვიდე!

სარგო ეუბნება გიორგის:

— გახსოვს ის კაცი, ჩვენთან რევიზიაზე რომ ჩამოდიოდა ხოლმე? სამუშაოდან გაუთავისუფლებიათ და მტკვარში გადაეარდნია, თავის დახრჩობა ნდომებია და ძლივს გადაურჩენიათ!

— სულელი ყოფილა ეგ შობელძალი! მე რომ მაგის ქუაზე მევლო, იხვივით სულ წყალში უნდა ვმჭდარიყავი! — უპასუხა გიორგიმ.

გიორგი მეზობელ ლაგოდეხის რაიონში მუშაობდა. რაიკოპკავშირის თავმჯდომარემ, წარმოშობით ზუგდიდელმა, წინადადება მისცა: შენ ჩვენი რაიონის მცხოვრები არა ხარ და სამუშაოდან უნდა წახვიდეო.


გიორგიმ სიღნაღისკენ გაიშვირა ხელი:

— ეგერ სიღნაღი! აბა, ახლა შენ ზუგდიდი დამანახე!

უანის ინსპექტორი შოთა მაზიაშვილი მოსახლეობაში სანადირო თოფებს ამოწმებდა. გიორგიზე რიცხული თოფი აღვილზე არ აღმოჩნდა. სხვას ვათხოვეო, — უთხრა გიორგიმ.

— მერე? იმას რომ ის შენი თოფი სადმე გაუვარდეს და რამე შეეშხვებს, იცი, რომ პასუხს შენ აგებ? — უყვირა ინსპექტორმა.

— სადაც მე მინდა, ოღონდ იქ გაუვარდეს და პასუხს მე ვაგებ! — გულარხინად მიუგო გიორგიმ.




უსიტყვოდ

ნახ. ზ. კატრიანაშვილისა



უსიტყვოდ

ქიულ საამიოვილი
(სიღნაღის რაიონი)



უსიტყვოდ

ორი ლექსი — ლექსის უღირსთ

უკეთესი არი..

უგვაროდაც კარგად ცნობენ,
რა „დადეგა“ ერგოთი..
ახლაც ქუხან (ახლებურად!)
ფილიპე და სერგო!

უგვაროდაც კარგად ცნობენ,
უღერს სიმართლის ქნარი:
თუ სახელსაც არ ახსენებთ,
უკეთესი არი..

იყო ღენერალი..

ბევრი იგორა თუ ცოტა იგორა,
ბევრი იქორა თუ ცოტა იქორა —
პირსიხსხლიანობით თავი იქო რა, —
იყო ღენერალი, დარჩა... იგორა!

ავთანდილ გურგენიძე

ვითაღური აღსარება, ანუ ლუარსაგბიანური გოძრამება უძრამობის პერიოდლიდან

ხელი ჩავიქნიე,
ძველზე უარს ვამბობი —
ახეთ ნეტარებას,
აუ, რა ხეობს!
დღემდე ხად ვყოფილვარ,
ჩემო ლუარსაბ,
თავს რად ვიტკივებდი?! —
სტომიქს გაუმარჯოს!

ვახშმად გეხლებით
კახურ არტალასა,
ხვალის შენიუწეც
რომ არ გამეუვეს ჭავრი,
იხიც შოვიფიქრე,
შენებრ მართალ კაცსა
უფრო გამიტკებდა
ჩემი დარჩენი!

ავთანდილ სვანიძე

თუ გიჭი წარ!..

აბლაუბდას ბლუყუნებს, —
თუ ბიჭი ხარ, უუურე!
პრანჭვა-გრებით გულს ვირევს, —
თუ ბიჭი ხარ, უხმინე!
გაუბედავს ბედავს და, —
თუ ბიჭი ხარ, ელავე!
შეგიგინებს პაპის ძვლებს, —
თუ ბიჭი ხარ, გაუძელ!
მულამ თუ არ ეფერე, —
ბევრჭერ სცემა შენფერებს!
ღვივოს გახმევს დიდ კათხებით, —
თუ ბიჭი ხარ, ნუ დაფრთხები!
ჩიბეში აქვს მაუწერი, —
თუ ბიჭი ხარ, დაუძვერი!
იმდენსა ვამს, იმდენს ხვამს,
სულ პირიდან ახაქმებს,
მუშაობა არ უნდა,
თუ ბიჭი ხარ, დახაქმე!..

ნოდარ უამანაძე

ყვესო ყოში იყბარი



პირა ლაშაბაშვილი
(საფრანგეთი)
ვიკტორია
ნიგინი
სერაფიმი

გავხსენ წიგნების ძველი კარადა,
ტომებს ძიძგნიდა ვირთაგვა ავი
და შექსპირისკენ გზას მოიკვლევდა
ნიუტონის და სენეკას გავლით..

ბრძენ კლასიკოსებს — რომანტიკოსებს
და რეზონიერთ უღმერთოდ ღრღნიდა
და ბრძენთა ბრძენიც რომ გაიოცებს;
ის აზრი მისთვის ჩირად არ ღირდა!..
ჰა როცა მღრღნელი ფოლიანტს ფლეთდა,
ტუვედქმნილმა, ნაზმა ბულბულმა ეს თქვა:
„გავმხდარიყავი შენსავით ღირსი,
გამთენებოდა მანდ ღამე თეთრად,
შეცნიერთა და მუწათა ჩრდილში“

ვირთაგვამ ისე შეტკივლა რისხვით,
რომ შეწანწარდა ჰერიც, ვალიაც:
„რა შავ ქვად მინდა დიდება, რისთვის?!
მათში სხვა რამე მხიბლავს ძალიან:
ფუ!.. მუცელს ვიძებ, ეს ყველამ იცის!..“
შეითხველო! შენც ცნობ „ხატონ კაცუნებს“,
პროზაულ ცხვირებს ყველგან რომ უოფენ,
ვირთაგვასავით ზღვა რომ გაცურებს
და შვიდფერ მუწებს უგულველყოფენ!

ფრანგულიდან თარგმნა
შალვა გვამელიშვილმა

ალარ მყუარია..

მასწავლებელი ეუბნება
ტოტოს:
— მიუღლე „სმა“ აწმყოს
მხოლოდითი რიცხვის I პირში!
— მე ვსვამ.
— კარგია! ახლა მომავალში!
— მე დავლევ.
— ძალიან კარგი! ახლა კი წა-
რსულ დროში!
— მასწავლებელო, მე უკვე აღ-
არ მწყურია!

ამ ყველა ენაზე ლაპარაკობენ!

საფრანგეთის ერთ-ერთ
პროვინციაში ჩასული ინგლისელი
სასტუმროს კარებზე კითხულობს:
„აქ ყველა ენაზე ლაპარაკობენ!“
ინგლისელი მიმართავს ღირეჭ-
ტორს ინგლისურ, გერმანულ, იტა-
ლიურ ენებზე, მაგრამ პასუხს ვერ
იღებს. მაშინ ინგლისელი ფრან-
გულად ეკითხება:
— მაინც ვინ ლაპარაკობს აქ
ყველა ენაზე?
ღირეჭტორი მშვიდად მიუგებს:
— მოგარაკენი.

თქვენი ხასტუმრო პრ არის საქმაროდ მალალი!

მგზავრი შედის ღიდ სას-
ტუმროში და ღირეჭტორის ეკით-
ხება:
— რა ღირს სასტუმროს ოთა-
ხები?

— 1500 ფრანკი — I სართულ-
ზე, 1200 — მე-2 სართულზე,
1000 — მესამეზე და 900 ფრან-
კი — ბოლო სართულზე.
— სამწუხაროა, რომ თქვენი
სასტუმრო უფრო მალალი არ
არის!

რამდენი ბუზია?

მასწავლებელი ეკითხება
ტოტოს:
— 7 ბუზია თქვენს მაგიდაზე!
მოკალით ერთი, რამდენი დარჩა?
ტოტო მიუგებს:
— ერთი! ის, რომელიც მოვ-
კალი!

ბოტომ ვოიბო

ბოტო ავად გახდა, მუცე-
ლი ატკივდა:
— რა დაგემართა, ჩემო ძვირ-
ფასო? — შეეკითხა დედამისის
ერთ-ერთი ამხანაგი.
— ვთამაშობდით ჩემი პატარა
დაიკო და მე, — ვინ მეტკანფეტს
შევეჭამდით, და, აი, შედეგი —
მე მოვიგე!

ბ რ ა ფ თ ლ ო გ ი ა

ბალზაკი გ რ ა ფ თ ლ ო გ ი-
ითაც იყო დაკავებული. ერთმა
ქალმა მას სასკოლო რვეული მი-
უტანა.

— მითხარით, გეთაყვა, როგო-
რი მომავალი აქვს ამის პატრონ
ბავშვს?

— ბალზაკმა რვეული გადაათვალი-
ერა.

— ვინ ხართ მისი? დედა? ნა-
თესავი?

— არც ერთი მათგანი!
— მაშინ სრულ სიმართლეს გე-
ტყვი: ეს ბავშვი გონებასუსტია,
ის ვერაფერს მიაღწევს!

ქალს სიცილი წასკდა.
— დიდო მწერალო, ნუთუ ვერ
იცანით თქვენი ზელნაწერი? ეს
ხომ თქვენი სკოლისდროინდელი
ერთ-ერთი რვეულია?!
ბალზაკს ენა მუცელში ჩაუვა-
რდა.

ნაოლეონ I

ნაოლეონ I თავის მეულ-
ლესთან საუბრობდა. რაკი ის
ოდნავ დაუფიქრებლად მსჯელობ-
და, ნაპოლეონმა უთხრა:

— იცით თუ არა, ქალბატონო,
რა განსხვავებაა სარკესა და
თქვენს შორის?

— არა! — მიუგო ყოზეფინამ.
— მაშ, გეტყვით: ის, რომ სარ-
კე აზროვნებს გამოუთქმელად,
ხოლო თქვენ მსჯელობთ დაუფი-
ქრებლად!

— ახლა ყოზეფინამ ჰკითხა მე-
ულლის:
— თქვენ კი, ბატონო, თუ იცით,
რით განსხვავდებით სარკისაგან?

— არა!

— ჩემო მეგობარო, სარკე პრი-
ალაა, უხორკლო, თქვენ კი ამას
მოკლებული ხართ!

ფრანგულიდან თარგმნა
ნიკო კუპარავამ

ერთი მამაკაცი აბანოში
შედის და მომსახურე პერსონალს
თხოვს:

— ჩქარა, გეთაყვათ, მხაბი მო-
მიზადეთ!
— ცხელი თუ ცივი?
— უწყლოდ, გენაცვალე!
— ეს როგორ?
— ძალიან მეჩქარება და შემეზ
რალეების დრო აღარ მექნება!

ერთი სულელი მესაათეს-
თან შედის პატარა ძაღლით და
ეუბნება:

— გამარჯობათ, ბატონო, ძაღ-
ლი მოგიყვანეთ, ნახეთ რა სკირს!
— ძაღლი?!.
— ჰო, ძაღლი, ამ ბოლო დროს
რატომღაც ყოველ ხუთ წუთში
ჩერდება!

ფრანგულიდან თარგმნა
ნიკო ბადავიძემ



სატირული

სატირული ჟურნალი „ნიანგი“ № 3 (1805). თებერვალი. გამოდის 1923 წლის ივნისიდან.

მთავარი რედაქტორი ზაურ ბოლქვაძე

სარედაქციო კოლეგია:

ავთანდილ აღიშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), ქაბუა ამირეჯიბი, ნოზაძე ბარბაია, რევაზ თვარაძე, ჭეშაძე ლოლუა (მხატვარ-რედაქტორი), ნოდარ მაღალაშვილი, ალექსანდრე სამსონია, ბეჟან სიხარულიძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ჯანსუღ ჩარკვიანი, თამაზ წიფწიაძე.

ტექნიკური რედაქტორი ირაკლი დუნდუა

გაღებულა ასაწყობად 3. 01. 90 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 7. 02. 90 წ. ქალაქის ზომა 60x90¹/₈, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 1,5. სალრიცხო-საგამომცემლო თაბაზი 1,9. საქართველოს კ. ც. -ის გამომცემლობა, ლენინის 14. შეკვ. № 2875 უე 04012. ტირაჟი 125.000. ჟურნალი გამოდის თვეში ორჯერ. რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

ჩვენი მისამართი: 880008. თბილისი-8, რუსთაველის ქროსპექტი № 32.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორის — 99-55-54, მთ. რედ. მოადგილის — 93-19-42, პ/მგ მდივნის — 93-10-78, მხატვარ-რედაქტორის — 99-02-38, განყოფილებათა გამგეების — 93-49-32, რედაქტორ-ლიტმუშაკების — 99-02-38, მდივან-მე მანქანის — 99-76-69.

Сатирико - юмористический журнал «НИАН-ГИ» (На грузинском языке). Тбилиси, пр. Рустваели № 42. Издательство ЦК КП Грузии, ордена Трудового Красного Знамени типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, улица Ленина № 14.

ფასი 20 კაპ.

ნ.დ.ე.ს.ი 76137



... უხავ-ყოჩები ეხვევიან!

